

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო**

ქ. ბათუმი

20 მაისი, 2013 წელი

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/28

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების: დიზაინი (კონცენტრაციები - ტექსტილის დიზაინი; ტანსაცმლის დიზაინი; ხის მხატვრული დამუშავება და ავეჯის დიზაინი); სახვითი ხელოვნება (კონცენტრაციები - დაზგური ფერწერა; დაზგური გრაფიკა); არქიტექტურა და დიზაინი (კონცენტრაციები - შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა; ინტერიერი და დიზაინი); აუდიო-ვიზუალური რეჟისურა (კონცენტრაციები - კინორეჟისურა; ტელერეჟისურა); დამატებითი სპეციალობები (ტექსტილის დიზაინი; ტანსაცმლის დიზაინი; ხის მხატვრული დამუშავება და ავეჯის დიზაინი; ტელერეჟისურა) დამტკიცების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და სახვითი, სასცენო და კინო-ტელეხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს № 28 სხდომის (2013 წლის 13 მაისი) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი

- დიზაინი (კონცენტრაციები - ტექსტილის დიზაინი; ტანსაცმლის დიზაინი; ხის მხატვრული დამუშავება და ავეჯის დიზაინი);

პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ქეთევან ვაჩიშვილი.

- სახვითი ხელოვნება (კონცენტრაციები - დაზგური ფერწერა; დაზგური გრაფიკა);

პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი სერგო გოგოლაძე

- არქიტექტურა და დიზაინი (კონცენტრაციები - შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა; ინტერიერი და დიზაინი).

პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ლალი გერსამია

კინო-ტელე ხელოვნების დეპარტამენტი

- აუდიო-ვიზუალური რეჟისურა (კინორეჟისურა, ტელერეჟისურა)
პროგრამის ხელმძღვანელი - სრული პროფესორი ზაზა ხალვაში

დამატებითი სპეციალობები:

- ტექსტილის დიზაინი;
პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ქეთევან ვაჩეიშვილი
- ტანსაცმლის დიზაინი;
პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი დიანა თალაკვაძე
- ხის მხატვრული დამუშავება და ავეჯის დიზაინი;
პროგრამის ხელმძღვანელი - ასისტენტ-პროფესორი მიხეილ კვაჭაძე.
- ტელერეჟისურა.
პროგრამის ხელმძღვანელი - სრული პროფესორი ზაზა ხალვაში.

2. დადგენილებით იხელმძღვანელონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა და შესაბამისმა ფაკულტეტმა.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე

ე. მესხია